საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/59

ქ.თბილისი

"19" დეკემბერი 2017 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დამხმარე ხასიათის მუდმივი (არასაშტატო) ფუნქციების განმახორციელებელ პოზიციებზე პირების დაქირავების მიზნით გამარტივებული საჯარო კონკურსის გამოცხადების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, ''ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონის 13[1] მუხლის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 28 სექტემბრის №653/22 გადაწყვეტილებისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის გრაფიკული სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზედეკემბრის 2010 წლის 24 მარტის N144/22 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვ-ნული კომისიის აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" კომისიის 2016 წლის 27 ოქტომბრის N708/22 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, მისი აპარატის სახაზო (საშტატო) პოზიციებისა და კომისიის სხვა დამხმარე ხასიათის მუდმივი (არასაშტატო) ფუნქციების განმახორციელებელი პოზიციების ნუსხის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 14 დეკემბრის №816/22 გადაწყვეტილების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს გამარტივებული საჯარო კონკურსები კომისიის დამხმარე ხასიათის მუდმივი (არასაშტატო) ფუნქციების განმახორციელებელ პოზიციებზე:
   ა) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;
   ბ) ხარისხის მართვისა და შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი;
   გ) ხარისხის მართვისა და შიდა აუდიტის სამსახურის მთავარი შიდა აუდიტორი;
2. ჩატარდეს გამარტივებული საჯარო კონკურსი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 28 სექტემბრის №653/22 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში კონკურსის ჩატარების წესის" შესაბამისად;
3. გამოქვეყნდეს აღნიშნული გამარტივებული კონკურსი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ-გვერდზე www.gncc.ge/vacancies;
4. დამტკიცდეს ვაკანსიების განაცხადის ფორმა დანართი №1, დანართი №2 და დანართი №3-ის შესაბამისად;
5. განისაზღვროს ვადა საბუთების მიღებისათვის 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;
6. საბუთების მიღებისთვის გამოყენებულ იქნას კომისიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ელ. ფოსტის მისამართი hr@gncc.ge;
7. გამარტივებული კონკურსი განხორციელდეს ორ ეტაპად:
   ა) კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების გადარჩევა;
   ბ) შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება;

8. აპლიკანტთა შერჩევის პროცესში კონკურსის პირველი ეტაპისთვის (კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების გადარჩევა) პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ ა.რ.მ. სამსახურის უფროსი თ. ბოკუჩავა და ა.რ.მ. სამსახურის ადმინისტრატორი გ. კვანტალიანი;
9. შერჩეულ კანდიდატებთნ გასაუბრება ჩატარდება კომისიის თავმჯდომარესთან, არმ სამსახურის უფროსის (თ. ბოკუჩავა) მონაწილეობით.
10. აისახოს გამარტივებული კონკურსის შედეგები შესაბამის ოქმში ა.რ.მ. სამსახურის (თ. ბოკუჩავა) მიერ;
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კომისიის ვებ გვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში;
12. კონტროლი აღნიშნულ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ა.რ.მ. სამსახურის უფროსს (თ. ბოკუჩავა).

კომისიის თავმჯდომარე **კ. ბექაური**